განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ფილოლოგიის“ სადოქტორო
საგანმანათლებლო პროგრამა (სომხური ფილოლოგიის ნაწილი)

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 22.04.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოლოგია (სომხური ფილოლოგიის ნაწილი)
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფილოლოგიის დოქტორი / PhD in Philology
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებულია 2012 წლის 18 ივლისის 239 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინა ლობჟანიძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ყარაულაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა განეკუთვნება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მერვე დონის პროგრამას და შემუშავებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და 22 ქვედარგს მოიცავს. პროგრამის წარმატებულად გავლის შემთხვევაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: „ფილოლოგიის დოქტორი".

პროგრამა აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2012 წლის 18 ივლისს, ოქმი №7. საბჭოს წევრებმა ისევე, როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა დაეთანხმნენ აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე ვლინდება, რომ სრული კურსის მოცულობა შეადგენს 180 კრედიტს, რომელთაგან 60 კრედიტი განეკუთვნება სასწავლო კომპონენტს, დანარჩენი 120 კი - კვლევითს. 1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს. ამათგან სასწავლო კომპონენტის კრედიტები ნაწილდება სავალდებულო და არჩევით საგნებს შორის. კვლევითი კომპონენტი გულისხმობს როგორც დისერტაციის მომზადებასა და დაცვას, ასევე დოქტორანტის კოლოქვიუმების გავლასაც. სადისერტაციო ნაშრომის გავლა და დაცვა 80 კრედიტს შეადგენს, ხოლო კოლოქვიუმებში მონაწილეობა ჯამურად 40 კრედიტს. კვლევითი კომპონენტი, ასევე, უზრუნველყოფს საერთაშორისო რეცენზირებადი სტატიის მომზადებასაც.

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წლისა (ექვსი სემესტრი), რაც დგინდება დოქტორანტურაში სწავლის პირობების განმარტებით დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ფარგლებში. ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ, დოქტორანტს შეუძლია სწავლის გაგრძელება სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობის საფუძველზე.

აღნიშნული სადოქტორო პროგრამის სომხური ფილოლოგიის მოდულის კვლევითი მიმართულება ორიენტირებულია ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების, ქართულ-სომხური ენობრივ ურთიერთობების, ქართული და სომხური მწერლობის ძეგლების შედარებისა და ტიპოლოგიურ შესწავლაზე წყაროთმცოდნეობით, ქართული-სომხურ ტექსტოლოგიური ტიპის კვლევებზე და სხვ.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

პროგრამის შემოწმება განხორციელდა მონიტორინგის ფარგლებში.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 31.03.2020 წლის №323591 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ირინა ლობჟანიძე (თავმჯდომარე), ირმა ყარაულაშვილი. ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა დისტანციურად, თანამედროვე ელექტრონული

საშუალებების გამოყენებით, შედგა მიმდინარე წლის 21 აპრილს, რა დროსაც მოხდა ჯგუფის წევრებს შორის პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით საკითხებზე შეჯერება.

წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე და შეხვედრის დროს დადგინდა, რომ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება უნდა განხორციელებულიყო დისტანციურად, მონიტორინგის გზით (ბრძანება №323591, 31/03/2020). მონიტორინგის გამომწვევი მიზეზი გახლდათ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სომხური ფილოლოგიის მიმართულების ყოფილი დოქტორანტის ორი საჩივარი (19.09.2017 წ., 27.02.2019 წ.), რომელსაც 2015 წელს შეუწყდა დოქტორანტის სტატუსი სავალდებულო სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენისა და კრედიტის ვერ მიღების გამო. ყოფილი დოქტორანტი პროგრამაზე ჩაირიცხა 2013 წლის 17 სექტემბრის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმდა მასსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შორის, რომელიც წარმოდგენილი იყო მისი რექტორის, ვლადიმერ პაპავას სახით. ყოფილი დოქტორანტის განცხადებით უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მას შეექმნა განსაზღვრული პრობლემები, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა. მოქალაქე საჩივრებში ამტკიცებდა, რომ სომხური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა უარი უთხრა მოქალაქეს სამეცნიერო ხელმძღვანელის გამოყოფის თაობაზე, მას შემდეგ რაც მისმა ერთ-ერთმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა უარი განაცხადა ხელმძღვანელობაზე შესაბამისი კვალიფიკაციის არქონის გამო. აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე კი მას დოქტორანტის სტატუსი შეუწყდა პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტის „დოქტორანტის სემინარის“ სამჯერ ზედიზედ ვერ ჩაბარების გამო.

უშუალოდ მონიტორინგით შეფასება განხორციელდა მიმდინარე წლის 22 აპრილს დისტანციურად zoom პროგრამის მეშვეობით. მონიტორინგის დროს შედგა შეხვედრები ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტებთან, ყოფილი სადისერტაციო საბჭოს წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს, დოქტორანტის სტატუსის მქონე სტუდენტსა და კურსდამთავრებულს. მონიტორინგის გამომწვევი მიზეზის გათვალისწინებით შედგა შეხვედრა მოქალაქესთან და მის ყოფილ ხელმძღვანელებთან. პროგრამის სომხური ფილოლოგიის ქვედარგის ხელმძღვანელთან შეხვედრა არ მოხერხდა.

დასასრულს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა გაწერილი მიზნების კუთხით შეესაბამება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას; ასევე ცალსახაა ის, რომ პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს სომხური ფილოლოგიის ქვედარგის განვითარებაში;
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან;
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა ძველი ჩარჩოს მიხედვით, რომელიც გულისხმობდა სწავლის შედეგების ექვს კრიტერიუმს: ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; გ) დასკვნის უნარი; დ) კომუნიკაციის უნარი; ე) სწავლის უნარი; ვ) ღირებულებები. კვალიფიკაციათა ახალი ჩარჩო კი შემდეგ სამ კრიტერიუმს მოიცავს: ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარი და; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა;
- უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები დოქტორანტურის განახლებული სტანდარტისა და 2019 წელს დამტკიცებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების შესაბამისად, თუმცა კონკრეტულ კურსებზე დაშვების წინაპირობები, სასურველია, რომ იყოს თავსებადობაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან;
- პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კომპონენტებში გამოყენებული კურსების ერთობლიობა დიდწილად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში გამოვლინდა უზუსტობანი, რომლებიც დაწვრილებით გაწერილია დასკვნაში;
- პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების უმეტესობა წინაპირობის გარეშეა;
- სილაბუსების უმეტესობა საჭიროებს მითითებული ლიტერატურის განახლებასა და გამდიდრებას 2011 წლის შემდეგ გამოცემული ლიტერატურით;
- პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას;
- შეფასების მეთოდები, ძირითადად, გამჭვირვალეა და კანონთან თანხვედრაში. სტუდენტები ინფორმირებულები არიან შედეგების, ნაკლოვანებების და გაუმჯობესების გზების შესახებ, თუმცა რიგ შემთხვევაში გამოვლინდა ზოგიერთი უზუსტობა, რომელიც დაწვრილებით გაწერილია დასკვნაში;
- დოქტორანტებს, როგორც წესი, ჰყავთ კვალიფიციური სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი;
- დოქტორანტები ღებულობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვის და შედეგების გაუმჯობესებისთვის საჭირო ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას;
- დოქტორანტებთან მუშაობის პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე;
- უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს დოქტორანტების კვლევითი პროექტების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელ და ზოგადად, კურიკულუმისგან დამოუკიდებელ კვლევით აქტივობებში ჩართულობას;

- პროგრამის სომხური მოდულის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი ფლობს შესაბამისი კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის სომხური მოდულის მდგრადობას;
- პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი;
- სასწავლო მასალა დიდწილად დაფუძნებულია მიმართულების უახლეს მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას, თუმცა არსებობს ლიტერატურის შევსებისა და განახლების საჭიროება;
- არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა;
- როგორც მთელ უნივერსიტეტში, ასევე კონკრეტულად ფაკულტეტზე მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა.

- **რეკომენდაციები**
  - მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების კვალიფიკაციათა ახალ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანა;
  - გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა კვლევით კომპონენტში ECTS კრედიტების მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ შესაბამისად;
  - მოხდეს დოქტორანტურის დებულებაში სადოქტორო სემინარის დაცვის პროცედურული თანმიმდევრობის უფრო ნათლად გაწერა;
  - მოხდეს კურიკულუმის არჩევითი საგნების ბლოკიდან დარგობრივი სემინარის ამოღება, რადგანაც როგორც უნივერსიტეტის მინიმალური სტანდარტი, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება განმარტავს ამ საგნის სავალდებულო ხასიათს ან განიმარტოს აღნიშნული საგნის როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსის სტატუსის პირობები;
  - მოხდეს კურიკულუმის არჩევითი საგნების ბლოკიდან პროფესორის ასისტენტობის ამოღება, რადგანაც როგორც უნივერსიტეტის მინიმალური სტანდარტი, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება განმარტავს ამ საგნის სავალდებულო ხასიათს ან განიმარტოს აღნიშნული საგნის როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი სტატუსის პირობები პროგრამაში მითითებული კრედიტების რაოდენობის გათვალისწინებით;
  - გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2019 წლის 22 ივლისს დამტკიცებული დოქტორანტურის დებულების №93/2019 შესაბამისად;
  - მოხდეს „სამეცნიერო მენეჯმენტისა“ და „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ კურსების სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ბლოკში

მითითებული ლიტერატურის გამართვა აკადემიური საზოგადოების მიერ მსოფლიოში აღიარებული სტილის (APA, Chicago, GOST, Harvard და ა.შ.) მიხედვით, რომელიც გულისხმობს წიგნის, სტატიის და ა.შ. შემთხვევაში - გამოცემის წლის, ხოლო ინტერნეტ-რესურსის შემთხვევაში - მასზე ბოლო წვდომის თარიღის მითითებას;

- მოხდეს დოქტორანტურის დებულებაში სადოქტორო სემინარის შეფასების პროცედურული თანმიმდევრობის უფრო ნათლად გაწერა;
- გაიწეროს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სადოქტორო სემინარის შეფასების პროცესში არმონაწილეობის საკითხი, როგორც ეს დამატებით განმარტებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით სადისერტაციო / სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის შემთხვევებისათვის;
- გაიწეროს სადოქტორო სემინარის შეფასების რეცენზენტის დანიშვნის პრინციპები, როგორც ეს დამატებით განმარტებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებით სადისერტაციო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის შემთხვევებისათვის.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - პროგრამის სწავლის შედეგების თვალსაჩინოებისთვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას სასურველია თან ახლდეს კომპეტენციების რუკა;
  - სასურველია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები გადაიხედოს პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე;
  - სასურველია, პროგრამაში ქვედარგებთან (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, სომხური ფილოლოგია და ა.შ.) ასოცირებული არჩევითი კურსების შემოღება;
  - გადაიხედოს პროგრამაზე მიღების წინაპირობა და/ან ზოგიერთი კურსის სილაბუსი რუსულ ენასთან მიმართებაში;
  - გადაიხედოს ცალკეულ სასწავლო კურსებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა ენობრივი წინაპირობის უზრუნველყოფის მიზნით და/ან კურსებზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს კონკრეტული ენის ცოდნა (ინგლისური, გერმანული, რუსული);
  - სასურველია, რომ დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტში დამატებით განიმარტოს „სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის“ ცნება და ფუნქციები;
  - სასურველია, რომ მოხდეს აკადემიური პერსონალის პროფესიული და აკადემიური მიღწევების ფორმების (CV) განახლება 2017 წლის შემდეგ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების წარმოდგენის მიზნით;
  - სასურველია, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მოხდეს პროფესორთა პროფილების განახლება;
  - პროგრამის ხელახალი აკრედიტაციისათვის მოხდეს წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ვიზიტის ფარგლებში მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2019 წელს გადაიხედა სავალდებულო და არჩევითი საგნების ბლოკი, შეიცვალა დოქტორანტურის დებულება და სასწავლო პროცესის მარეგულირებული წესი, მომავალი რეაკრედიტაციის მიზნით ხდება პროგრამის კურიკულუმის განახლება.

2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი იყო შემდეგი რეკომენდაციები:

● *სასურველია პროგრამის სასწავლო კომპონენტთა სილაბუსებში უფრო ნათლად და გარკვევით გაიწეროს ყოველი კურსის/მოდულის დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციები.*

პროგრამის დღევანდელი მდგომარეობით კურსის/მოდულის დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციები ზოგიერთი კურსის შემთხვევაში (იხ. *სწავლების მეთოდები, კურიკულუმის შემუშავების პრინციპი, ქართული წვლილი შუა საუკუნეების ევროპულ ცივილიზაციაში* და, *კვლევის მენეჯმენტი*) წარმოდგენილია ცალკე ბლოკში, ხოლო დანარჩენი კურსების შემთხვევაში - სწავლის შედეგების ბლოკში.

● *სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას სასურველია თან ახლდეს კომპეტენციების რუკა.*

პროგრამის დღევანდელი მდგომარეობით ეს რეკომენდაცია გათვალისწინებული არ არის.

● *სასურველია სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის გამრავალფეროვნება და უახლესი პუბლიკაციებით გამდიდრება (განსაკუთრებით კი, ბოლოდროინდელი სტატიებით, კვლევებით).*

პროგრამის დღევანდელი მდგომარეობით სილაბუსების უმეტესობა საჭიროებს მითითებული ლიტერატურის განახლებასა და გამდიდრებას 2011 წლის შემდეგ გამოცემული ლიტერატურით.

● *კომპარატივისტიკის ხასიათის სასწავლო კურსების სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურაში მხოლოდ რუსულენოვანი ლიტერატურის მითითება გარკვეული უკმარისობის განცდას ტოვებს და სავარაუდოდ საგნის სრულყოფილად შესწავლის საშუალებას არ იძლევა.*

პროგრამის დღევანდელი მდგომარეობით ეს რეკომენდაცია გათვალისწინებულია, თუმცა მაშინაც საბჭოს სხდომის დროს აღენიშნა, რომ ეს ცდომილება ტექნიკური ხასიათისაა.

● *სასწავლო გეგმების შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს სასწავლო კურსების კოდიფიცირება.*

პროგრამის დღევანდელი მდგომარეობით ზოგიერთ სილაბუსში არის ჩანაწერი, რომ კოდის მინიჭება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი ერთიანი წესის შესაბამისად.

- *სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსის „სამეცნიერო კვლევის მეთოდების“ ჩართვა, ხელს შეუწყობს/უზრუნველყოფს უფრო პროდუქტიული დისერტაციის შექმნას და მკვლევარისთვის სათანადო კომპეტენციების გამომუშავებას.*

დღევანდელი მდგომარეობით კურსი “ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ (5 კრედიტი) გათვალისწინებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით, თუმცა პროგრამის კურიკულუმში ჯერ ასახული არ არის.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა „ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელება; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარება; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა; თავისუფალი სამყაროს ღირსეული წევრობა“. ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: „... მოამზადოს ფილოლოგიის დარგში უმაღლესი კვალიფიკაციის თანამედროვე სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის შრომის ბაზარზე“. პროგრამა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. თუმცა, ზოგადად, ქვეყნის შრომის ბაზარზე პროგრამაში წარმოდგენილი 22 ქვედარგის დასაქმების სფერო და კურსდამთავრებულებზე არსებული მოთხოვნა სხვადასხვანაირია. ზოგადად სომხური ფილოლოგიის მოდული მოცემული რეგიონის შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხდის ამ ტიპის პროგრამის განხორციელებას აქტუალურს და მნიშვნელოვანს. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ანალოგიური მოდული ქვეყანაში ფაქტობრივად სხვა არ არსებობს. აღნიშნულს ადასტურებენ როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლები, აგრეთვე პროგრამის კურსდამთავრებულებიც და მოქმედი სტუდენტებიც. და, გარდა ამისა, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის საჭიროება განაპირობებს ამ მოდულის მნიშვნელობას. პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებთან, რომლებიც ფილოლოგიის დოქტორს უნდა ჰქონდეს და, ზოგადად, მიღწევადი და რეალისტურია. თუმცა მოცემულ შემთხვევაში არსებობს რიგი უზუსტობა, რომელმაც გამოიწვია მონიტორინგის განხორციელების აუცილებლობა (იხ. პუნქტი 1.2, 2.1, 2.2, 2.3, 2.6).
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალისთვის დარგობრივი სტატიების მომზადებას;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

o

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

o

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შუალედურ პერიოდში გადაიხედა დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი და სასწავლო-მარეგულირებელი წესი.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამული კომპონენტების სტრუქტურა და შინაარსი გულისხმობს, როგორც კვლევითი, ასევე სასწავლო კომპონენტების არსებობას. კვლევითი კომპონენტი დარგობრივია და, ძირითად, ორიენტირებულია პროგრამის მიერ გათვალისწინებული სადისერტაციო

ნაშრომზე. სასწავლო კომპონენტი კი აძლევს დოქტორანტს სავალდებულო და არჩევითი საგნებით 60 კრედიტის დაგროვების შესაძლებლობას. სასწავლო კომპონენტის თვალსაზრისით გამოიკვეთა ერთი გარემოება, კერძოდ, სავალდებულო და არჩევითი კურსები ზოგადი ხასიათისაა და პროგრამაში გაერთიანებულ 22 ქვედარგს უკავშირდება მხოლოდ ზოგადად (იხ. *მეცნიერების მენეჯმენტი, სწავლების მეთოდები, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (კომპარატივისტიკა) და კულტურის ტიპოლოგია და ა.შ.*). კურიკულუმით გათვალისწინებული არც ერთი საგანი არ არის ასოცირებული არც სომხურ ფილოლოგიასთან და არც პროგრამით გათვალისწინებულ ქვედარგთა უმეტესობასთან. თუმცა არც პროგრამის სომხური მოდულის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი, არც პროგრამის კურსდამთავრებულები და არც დოქტორანტობის სტატუსის მქონე სტუდენტები არ გამოხატეს უკმაყოფილება ამასთან დაკავშირებით, რადგანაც მათი აზრით სწავლების აღნიშნული საფეხური გულისხმობს სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას სწავლების წინა საფეხურზე მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით. თუმცა არსებული შეუსაბამობა ნაწილობრივ შევსებულია, ვინაიდან ასისტირების სავალდებულო კომპონენტში ძირითადად დარგობროვი საგნის ასისტირება მოიაზრება (რაც დაგვიდასტურეს გასაუბრების პროცესში როგორც აკადემიურმა პერსონალმა, აგრეთვე პროგრამის კურსდამთავრებულმა და დოქტორანტმა).

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა ძველი ჩარჩოს მიხედვით, რომელიც გულისხმობდა სწავლის შედეგების ექვს კრიტერიუმს: ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; გ) დასკვნის უნარი; დ) კომუნიკაციის უნარი; ე) სწავლის უნარი; ვ) ღირებულებები. კვალიფიკაციათა ახალი ჩარჩო კი შემდეგ სამ კრიტერიუმს მოიცავს: ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარი და; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

გარდა ამისა, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებზე გასვლა მნიშვნელოვანია, თუმცა პროგრამაზე მიღების წინაპირობისა და შემდგომში სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით, აღნიშნული შედეგების მიღწევა განსაზღვრულ ეჭვს იწვევს, მაგ. კომუნიკაციის უნარის ნაწილში აღნიშნულია, რომ „ფილოლოგიის დოქტორს შუძლია წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია ქართულ და უცხოურ ენებზე“, თუმცა პროგრამით გათვალისწინებული არც ერთი კურსი დოქტორანტს არ სთავაზობს უცხო ენაზე კომუნიკაციის გაუმჯობესებას, შესაბამისად, აღნიშნული შედეგის მიღწევაც განსაზღვრულ ეჭვს ბადებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტები (2011 წლის 16 მარტის, დადგენილება №25/2011; 2018 წლის 27 დეკემბრის, დადგენილება №245/2018);
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებები;
- 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება №.69/ნ-ის საფუძველზე დამტკიცებული კვალიფიკაციათა ჩარჩო;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

● გასაუბრება სომხური ქვედარგის აკადემიურ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და დოქტორანტის სტატუსის მქონე სტუდენტებთან; ● უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: ● მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების კვალიფიკაციათა ახალ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● პროგრამის სწავლის შედეგების თვალსაჩინოებისთვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას სასურველია თან ახლდეს კომპეტენციების რუკა; ● სასურველია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები გადაიხედოს პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე; ● სასურველია, პროგრამაში ქვედარგებთან (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, სომხური ფილოლოგია და ა.შ.) ასოცირებული არჩევითი კურსების შემოღება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) შუალედურ პერიოდში გადაიხედა დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი და სასწავლო-მარეგულირებელი წესი.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებ		X		

ლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტების ერთობლიობის პროგრამაზე დაშვების შესაბამისობის კუთხით გამოიკვეთა ორი გარემოება: ● უნივერსიტეტის მოქმედი სტანდარტის მიხედვით დოქტორანტურაში მიღების წინაპირობა გულისხმობს გასაუბრებას სპეციალობაში (ზეპირ ან/და წერითი ფორმით) და უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ჩაბარებას ან/და უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტს (უცხო ენის ცოდნის დონე დამატებით განმარტებულია დოქტორანტურის სტანდარტის დანართ №2-ში). პროგრამის სამუშაო ენა - ქართულია, თუმცა როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი საგნების სილაბუსებში წარმოდგენილია არა-მხოლოდ ქართული, არამედ უცხოური ლიტერატურაც (ინგლისური, გერმანული, რუსული), რაც განსაზღვრულ დონეზე წინააღმდეგობაშია პროგრამის მიღების წინაპირობასთან. როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსების სილაბუსების უმეტესობა არ ითვალისწინებს კონკრეტული ენის ცოდნის წინაპირობას (იხ. *აკადემიური წერა, გერმანული ენათმეცნიერების მიმართულებები და მეთოდები სემანტიკა-პრაგმატიკა 1-2 და სხვ.*). აღნიშნული წინააღმდეგობა განსაკუთრებული სიმწვავით ვლინდება სილაბუსებში რუსულენოვანი ლიტერატურის გამოყენების შემთხვევაში, რადგანაც არც პროგრამაზე და არც კურსზე მიღების წინაპირობით აღნიშნული ენის ცოდნა გათვალისწინებული არ არის (იხ. *ენათა კვლევის თეორიული საფუძვლები და გამოყენებითი ასპექტები და სხვ.*). იმ შემთხვევებშიც, როცა დოქტორანტი აკმაყოფილებს რა პროგრამაზე მიღების წინაპირობას და მისაღებ გამოცდაზე თუნდაც ფრანგულ ენას აბარებს, შეუსაბამობა მის ენობრივ კომპეტენციასა და პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული უცხოური ლიტერატურის ენას (ინგლისური, გერმანული) შორის განსაზღვრულ ეჭვს იწვევს (იხ. *კორპუსის ლინგვისტიკა, მეცნიერების მენეჯმენტი და სხვ.*).

● უნივერსიტეტის სტანდარტით დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრისა ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. აღნიშნული პუნქტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია გავრცობილი სახით და პროგრამაზე დაშვების წინაპირობას განსაზღვრავს შემდეგნაირად "მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფილოლოგიის რომელიმე დარგში/ქვედარგში/ კულტურის კვლევებში / რეგიონმცოდნეობაში / განათლების მეცნიერებებში". კულტურის კვლევების, რეგიონმცოდნეობისა და განათლების მეცნიერებების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირების მიღება თუნდაც იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, ბიზანტიური და ახალბერძნული ფილოლოგიის, სომხური ფილოლოგიის და ა.შ. მოდულებზე განსაზღვრულ ეჭვს იწვევს. თუმცა დოკუმენტაციიდან დგინდება და ვიზიტის დროს ხაზი გაესვა იმას, რომ დოქტორანტობის კანდიდატის მიღება/არ მიღების საკითხი წყდება დარგობრივი გასაუბრების დროს, რაც, ბუნებრივია, ცხრილავს ქვედარგისთვის შეუსაბამო კანდიდატურებს;

● დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაციის ნაწილს პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა და ხელმძღვანელ(ებ)ის თანხმობა წარმოადგენს. ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და პრიორიტეტი ენიჭება დოქტორანტის მიერ შემოთავაზებულ კანდიდატურას. თუმცა, გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ პროგრამაზე შემოსვლისას დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი სარგებლობს ე.წ. სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით, რაც ნიშნავს იმას, რომ სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის - ხელმძღვანელად დამტკიცება მოგვიანებით ხდება, როცა სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი მიმართავს ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თემისა და ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ. ეს კი ხდება, მხოლოდ მას შემდეგ რაც სადისერტაციო ნაშრომი შედარებით გამოკვეთილ სახეს იღებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის დღევანდელი სტანდარტით ვლინდება, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცების ოფიციალურ ვადებად განისაზღვრება ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრი, ძველი სტანდარტი - ამ პუნქტს არ ითვალისწინებდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტები თანდართული დოკუმენტაციით (2011 წლის 16 მარტის, დადგენილება №25/2011; 2018 წლის 27 დეკემბრის, დადგენილება №245/2018);
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- გასაუბრება ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის დეკანთან, სომხური ქვედარგის აკადემიურ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და დოქტორანტის სტატუსის მქონე სტუდენტებთან;

o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: ●
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● გადაიხედოს პროგრამაზე მიღების წინაპირობა და/ან ზოგიერთი კურსის სილაბუსი რუსულ ენასთან მიმართებაში; ● გადაიხედოს ცალკეულ სასწავლო კურსებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა ენობრივი წინაპირობის უზრუნველყოფის მიზნით და/ან კურსებზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს კონკრეტული ენის ცოდნა (ინგლისური, გერმანული, რუსული); ● სასურველია, რომ დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტში დამატებით განიმარტოს „სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის“ ცნება და ფუნქციები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტსა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში შეტანილი ცვლილებები დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის დამტკიცების შესახებ.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში არსებული სტანდარტისა და სასწავლო მარეგულირებელი წესის დაცვით. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურია, თუმცა კურსებზე დაშვებისას იკვეთება განსაზღვრული შეუსაბამობა წასაკითხი ლიტერატურის ენასა და კურსზე დაშვების წინაპირობას შორის.

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რომელთაგან 60 ECTS განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისათვის, დანარჩენი 120 ECTS კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს. 1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს. ამათგან სასწავლო კომპონენტის კრედიტები ნაწილდება სავალდებულო და არჩევით საგნებს შორის.

კვლევითი კომპონენტი გულისხმობს როგორც დისერტაციის მომზადებასა და დაცვას, ასევე დოქტორანტის კოლოქვიუმების გავლასაც. სადისერტაციო ნაშრომის გავლა და დაცვა 80 კრედიტს შეადგენს, ხოლო კოლოქვიუმებში მონაწილეობა ჯამურად 40 კრედიტს. კვლევითი კომპონენტი, ასევე, უზრუნველყოფს საერთაშორისო რეცენზირებადი სტატიის მომზადებასაც. თუმცა კვლევით კომპონენტში ECTS კრედიტების მინიჭება განსაზღვრულ წინააღმდეგობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, კერძოდ, საქართველოს კანონთან „უმაღლესი განათლების შესახებ“, რომლის მიხედვით „კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ“, ხოლო „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი უნდა მოიცავდეს არაუმეტეს 60 კრედიტისა“, რაც გულისხმობს იმას, რომ სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვაში ECTS კრედიტების მინიჭება მართებული არ არის.

სასწავლო კომპონენტის თვალსაზრისით გამოიკვეთა ერთი გარემოება, კერძოდ, სავალდებულო და არჩევითი კურსები ზოგადი ხასიათისაა და პროგრამაში გაერთიანებულ 22 ქვედარგს უკავშირდება მხოლოდ ზოგადად (იხ. *მეცნიერების მენეჯმენტი, სწავლების მეთოდები, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (კომპარატივისტიკა) და კულტურის ტიპოლოგია და ა.შ.*). კურიკულუმით გათვალისწინებული არც ერთი საგანი არ არის ასოცირებული არც სომხურ ფილოლოგიასთან და არც პროგრამით გათვალისწინებულ ქვედარგთა უმეტესობასთან. თუმცა არც პროგრამის სომხური მოდულის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი, არც პროგრამის კურსდამთავრებულები და არც დოქტორანტობის სტატუსის მქონე სტუდენტები არ გამოხატეს უკმაყოფილება ამასთან დაკავშირებით, რადგანაც მათი აზრით სწავლების აღნიშნული საფეხური გულისხმობს სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას სწავლების წინა საფეხურზე მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტები თანდართული დოკუმენტაციით (2011 წლის 16 მარტის, დადგენილება №25/2011; 2018 წლის 27 დეკემბრის, დადგენილება №245/2018); o ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებები; o საგანმანათლებლო პროგრამა; o სასწავლო კურსების სილაბუსები; o გასაუბრება ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის დეკანთან, სომხური ქვედარგის აკადემიურ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და დოქტორანტის სტატუსის მქონე სტუდენტებთან; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: • გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა კვლევით კომპონენტში ECTS კრედიტების მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ შესაბამისად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • სასურველია, პროგრამაში ქვედარგებთან (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, სომხური ფილოლოგია და ა.შ.) ასოცირებული არჩევითი კურსების შემოღება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არა მხოლოდ სასწავლო, არამედ კვლევით კომპონენტსაც. სასწავლო კომპონენტში მოიაზრება როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი საგნები, ხოლო კვლევითი კომპონენტი გულისხმობს დოქტორანტის კოლოკვიუმებს (I-II) და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას. სასწავლო კომპონენტის საგნები - ზოგადი ხასიათისაა, ხოლო კვლევითი კომპონენტი - დარგობრივია. ვინაიდან სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი საგნები ზოგადი ხასიათისაა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დარგობრივ თემატიკასთან ყველაზე ახლოს მდგომი ორი სავალდებულო საგანი: დოქტორანტის სემინარი და პროფესორის ასისტირება. ამ საგნებთან დაკავშირებით გამოვლინდა განსაზღვრული უზუსტობანი, რამაც გამოიწვია მონიტორინგის განხორციელების აუცილებლობა:

- აღნიშნული ორი საგანი სავალდებულოა და მათი ჩაბარების საჭიროება დამატებით რეგულირდება როგორც დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტებით (2011 წლის 16 მარტის, დადგენილება №25/2011; 2018 წლის 27 დეკემბრის, დადგენილება №245/2018), ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის როგორც ძველი (2016 წლის 5 დეკემბრის №143/2016 დებულებაში: მინიმუმ ერთი სემინარი (15-30 კრედიტი), პროფესორის ასისტენტობა (არანაკლებ 5 კრედიტისა)), ასევე ახალი დებულებებით (2019 წლის 22 ივლისის №93 დებულებაში: დარგობრივი სემინარი (15 კრედიტი), პროფესორის ასისტირება (5 კრედიტი)), თუმცა კურიკულუმში აღნიშნული ორი საგანი გვხვდება როგორც სავალდებულო (დოქტორანტის სემინარი: 15 კრედიტი, პროფესორის ასისტენტობა: 5 კრედიტი), ასევე არჩევითი კურსების (დოქტორანტის სემინარი: 15 კრედიტი, პროფესორის ასისტენტობა: 15 კრედიტი) სიაში. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი კი არ ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას არჩევითი საგნის ჩაუბარებლობის გამო;
- დოქტორანტის სემინარი გულისხმობს კონკრეტულ ქვედარგთან ასოცირებული თემების დამუშავებას დოქტორანტის მიერ კონკრეტული პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან და/ან სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელ(ებ)თან მჭიდრო თანამშრომლობით, თუმცა "დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი". სემინარის ორგანიზებას ფაკულტეტი ახდენს და სემინარის დაცვის პირობები დგინდება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით. თუმცა სემინარის დაცვა პროცედურული თვალსაზრისით ფაკულტეტის არც ძველ და არც ახალ დებულებაში კარგად სტრუქტურირებული არ არის, კერძოდ, არ არის მითითება იმის შესახებ თუ ვის შეუძლია სემინარის ხელმძღვანელობა, რა პრინციპით ხდება რეცენზენტის დანიშვნა, იღებს თუ არა დოქტორანტის ხელმძღვანელი მონაწილეობას დოქტორანტის შეფასებაში და ა.შ., რასაც ფაკულტეტის წარმომადგენლებიც ადასტურებენ, თუმცა განმარტავენ, რომ ჰუმანიტარული ფაკულტეტის როგორც ძველ, ასევე განახლებულ დებულებაში მითითებულია, რომ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს/კოორდინატორს ევალება დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობა

სადოქტორო სემინარში და სხვ. (იხ. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მუხლი № 6.6) და მიღებული პრაქტიკით დოქტორანტის ხელმძღვანელი მონაწილეობას დოქტორანტის შეფასებაში არ იღებს; ● პროფესორის ასისტირება გულისხმობს დოქტორანტის მიერ აკადემიური პერსონალის ასისტირებას სხვადასხვა ტიპის აქტივობებში როგორიცაა შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება და სხვ. ასისტირებით გათვალისწინებული კრედიტების აღება დოქტორანტს შეუძლია ლექციებზე დასწრებითაც პროფესიული სრულყოფის, შესაბამისი მეთოდოლოგიის დაუფლების მიზნით. აღსანიშნავია, რომ დოქტორანტურის არც ძველი და არც მოქმედი დებულება არ საზღვრავს პროფესორის ქვედარგს, რომელსაც დოქტორანტი უწევს ასისტირებას. გარდა ამისა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის 2019 წელს დამტკიცებულ დებულებაში გათვალისწინებულია "ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია" (5 კრედიტი), რომელიც პროგრამის მოქმედ კურიკულუმში ასახული არ არის. თუმცა, უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული საგნის პროგრამის კურიკულუმში ასახვა და დამტკიცება მოხდება რეაკრედიტაციის დროს. ზოგიერთი კურსის (მაგ. *მეცნიერების მენეჯმენტი, ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა*) არც სავალდებულო და არც დამხმარე ლიტერატურის სიაში არ არის მითითებული არც გამოცემის წელი და არც ინტერნეტ-რესურსებზე ბოლო წვდომის თარიღი აკადემიური სტილისთვის შესაფერისი ფორმატის მოთხოვნების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტები თანდართული დოკუმენტაციით (2011 წლის 16 მარტის, დადგენილება №25/2011; 2018 წლის 27 დეკემბრის, დადგენილება №245/2018); o ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებები (2019 წლის 22 ივლისის დადგენილება №93; 2016 წლის 5 დეკემბრის დადგენილება №143/2016); o საგანმანათლებლო პროგრამა; o სასწავლო კურსების სილაბუსები; o გასაუბრება ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის დეკანთან, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტებთან, სომხური ქვედარგის აკადემიურ პერსონალთან; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: ● მოხდეს დოქტორანტურის დებულებაში სადოქტორო სემინარის დაცვის

პროცედურული თანმიმდევრობის უფრო ნათლად გაწერა; ● მოხდეს კურიკულუმის არჩევითი საგნების ბლოკიდან დარგობრივი სემინარის ამოღება, რადგანაც როგორც უნივერსიტეტის მინიმალური სტანდარტი, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება განმარტავს ამ საგნის სავალდებულო ხასიათს ან განიმარტოს აღნიშნული საგნის როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსის სტატუსის პირობები; ● მოხდეს კურიკულუმის არჩევითი საგნების ბლოკიდან პროფესორის ასისტენტობის ამოღება, რადგანაც როგორც უნივერსიტეტის მინიმალური სტანდარტი, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება განმარტავს ამ საგნის სავალდებულო ხასიათს ან განიმარტოს აღნიშნული საგნის როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი სტატუსის პირობები პროგრამაში მითითებული კრედიტების რაოდენობის გათვალისწინებით; ● გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2019 წლის 22 ივლისს დამტკიცებული დოქტორანტურის დებულების №93/2019 შესაბამისად; ● მოხდეს „სამეცნიერო მენეჯმენტისა“ და „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ კურსების სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ბლოკში მითითებული ლიტერატურის გამართვა აკადემიური საზოგადოების მიერ მსოფლიოში აღიარებული სტილის (APA, Chicago, GOST, Harvard და ა.შ.) მიხედვით, რომელიც გულისხმობს წიგნის, სტატიის და ა.შ. შემთხვევაში - გამოცემის წლის, ხოლო ინტერნეტ-რესურსის შემთხვევაში - მასზე ბოლო წვდომის თარიღის მითითებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ●
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o დოქტორანტურის ძველი მინიმალური სტანდარტით დოქტორანტს ევალებოდა სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან შეთანხმებით სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი ელემენტების განსაზღვრა, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის (ფორმა №1) შევსება და წარდგენა სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს, მსგავსად ხდებოდა ინდივიდუალური კვლევითი გეგმის (ფორმა №2) შედგენა. გარდა ამისა, ყოველი სემესტრის ბოლოს დოქტორანტს ევალებოდა ანგარიშის ჩაბარება შესრულებული სამუშაოს შესახებ. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის 2019 წელს დამტკიცებული დებულება აღნიშნულ პუნქტებს არ ითვალისწინებს, რადგანაც

სადოქტორო პროგრამაში ჩართულ დოქტორანტს ისედაც აქვს კონკრეტული კვლევითი პროექტი, რომელიც მიესადაგება შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამის პრობლემატიკას და რომელზეც აქტიურად მუშაობს დოქტორანტურაში სწავლის დროს.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს და, ასევე, ინტერვიუირების პროცესში ჩატარებული გამოკითხვებით დასტურდება, სტუდენტები ღებულობენ სრულ ინფორმაციას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვისა, ასევე კვლევითი პოტენციალის განსაზღვრისა და გაუმჯობესების კუთხით. სომხური მოდულის ხელმძღვანელი და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი, სხვადასხვა ფორმატში აწვდიან დოქტორანტებს ყველა საჭირო სახის ინფორმაციას და მხარს უჭერენ მათ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის თვალსაზრისით. იგივე ეხება კონსულტაციებსა და დახმარებას. გარდა ამისა, პროგრამაზე ჩარიცხვამდე პროგრამის ხელმძღვანელი უწევს კონსულტაციებს დოქტორანტობის კანდიდატებს კვლევითი თემატიკის განსაზღვრასა და კვლევითი თემატიკის შესაფერისი სამეცნიერო ხელმძღვანელების შერჩევის თვალსაზრისით, თუმცა არ ზღუდავს დოქტორანტის არჩევანს სავარაუდო ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტები თანდართული დოკუმენტაციით (2011 წლის 16 მარტის, დადგენილება №25/2011; 2018 წლის 27 დეკემბრის, დადგენილება №245/2018); o ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებები;

o საგანმანათლებლო პროგრამა; o გასაუბრება ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის დეკანთან, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტებთან, სომხური ქვედარგის აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა განეკუთვნება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მერვე დონეს, რაც გულისხმობს, რომ ამ პროგრამის ძირითადი კომპონენტი კვლევითია, სასწავლო კომპონენტი კი მეორეულია. სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილი კურსების უმეტესობა ზოგადი ხასიათისაა, თუმცა ამ კურსების სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია გამართულია და ორიენტირებულია კურსით

განპირობებული კონკრეტული შედეგების მიღწევაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: o
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ● სასურველია, პროგრამაში ქვედარგებთან (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, სომხური ფილოლოგია და ა.შ.) ასოცირებული არჩევითი კურსების შემოღება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o საგანმანათლებლო პროგრამა; o სილაბუსები; o გასაუბრება ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის დეკანთან, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტებთან, სომხური ქვედარგის აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის კურსდამთავრებულებთან და დოქტორანტის სტატუსის მქონე სტუდენტებთან.
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და

კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. იშვიათ შემთხვევებში აღინიშნება პროცედურული უზუსტობანი სავალდებულო საგნის „დოქტორანტის სემინარის“ მსვლელობასთან დაკავშირებით, კერძოდ, იღებს თუ არა დოქტორანტის ხელმძღვანელი მონაწილეობას სემინარზე დოქტორანტის მიერ წარდგენილი თემის განხილვა-შეფასებაში, რა პრინციპით ხდება რეცენზენტის (სადოქტორო სემინარის პირველი შემფასებლის) გამოყოფა, მონაწილეობს თუ არა საჯარო დისკუსიებში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და სხვ. როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს და, ასევე, გასაუბრების პროცესში ჩატარებული გამოკითხვებით დადგინდა უნივერსიტეტში დამკვიდრებული პრაქტიკით ეს და ბევრი სხვა საკითხი წყდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის/კოორდინატორის, დოქტორანტ(ებ)ის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ისა და, უშუალოდ, დოქტორანტის მჭიდრო თანამშრომლობით დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ფარგლებში. თუმცა დოქტორანტის სემინარის - სავალდებულო საგნის პროცედურულ თანმიმდევრობასთან, რეცენზენტის შერჩევასა და შეფასების პროცესში სამეცნიერო ხელმძღვანელის მონაწილეობა/არ მონაწილეობის საკითხებთან დაკავშირებით გამოვლინდა რიგი უზუსტობა, რომელიც დაწვრილებით აღწერილია პუნქტ 2.3-ში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტები თანდართული დოკუმენტაციით (2011 წლის 16 მარტის, დადგენილება №25/2011; 2018 წლის 27 დეკემბრის, დადგენილება №245/2018); o ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებები; o საგანმანათლებლო პროგრამა; o გასაუბრება ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის დეკანთან, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტებთან, სომხური ქვედარგის აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: ● მოხდეს დოქტორანტურის დებულებაში სადოქტორო სემინარის შეფასების პროცედურული თანმიმდევრობის უფრო ნათლად გაწერა; ● გაიწეროს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სადოქტორო სემინარის შეფასების პროცესში არმონაწილეობის საკითხი, როგორც ეს დამატებით განმარტებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით სადისერტაციო / სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის შემთხვევებისათვის;

● გაიწეროს სადოქტორო სემინარის შეფასების რეცენზენტის დანიშვნის პრინციპები, როგორც ეს დამატებით განმარტებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებით სადისერტაციო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის შემთხვევებისათვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ● როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ვლინდება და, ასევე, გასაუბრების პროცესში ჩატარებული გამოკითხვებით დასტურდება, პროგრამის კურსდამთავრებულები ისევე, როგორც დოქტორანტის სტატუსის მქონე სტუდენტებს მსგავსი პრობლემები არასოდეს შექმნიათ, ღებულობდნენ და ღებულობენ სრულ ინფორმაციას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის და საკუთარი პროფილის განსაზღვრის, ისე კვლევითი კომპონენტის განხორციელების შესახებ; ● პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის წარმომადგენლები, უშუალოდ სასწავლო პროცესში ჩართული აკადემიური პერსონალი აწვდიან დოქტორანტებს ყველა საჭირო სახის ინფორმაციას და დახმარებას თუ დოქტორანტი ითხოვს მას, თუმცა ყოფილი დოქტორანტის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ჰიმნოგრაფიის მიმართულებით სამეცნიერო ხელმძღვანელს ყოფილი დოქტორანტი ხვდებოდა იშვიათად, ხოლო ძველი სომხური ენის მიმართულებით სამეცნიერო ხელმძღვანელს დოქტორანტი შეხვდა მხოლოდ ერთხელ პროგრამაზე ჩარიცხვამდე რეკომენდაცია-თანხმობაზე ხელის მოსაწერად, რაც, ბუნებრივია, ნეგატიურ ზეგავლენას ახდენდა ყოფილი დოქტორანტის მიერ ინფორმაციის მიღება/არ მიღებაზე და მისთვის როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი კონსულტაციების გაწევაზე; ● გარდა ამისა, უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონულ სასწავლო პლატფორმას, რომლის საშუალებითაც დოქტორანტს შეუძლია როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი საგნების შერჩევა და სასწავლო კომპონენტის მართვა. აღნიშნული სისტემის გამოყენებით შესაძლებელია სტუდენტის ბარათის ავტომატურ რეჟიმში ნახვა და სასწავლო კომპონენტების ჩაბარება/არ ჩაბარების კონტროლი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o გასაუბრება უნივერსიტეტის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტებთან, ყოფილი დოქტორანტის ხელმძღვანელებთან, სომხური ფილოლოგიის პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტის სტატუსის მქონე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და მომჩივანთან; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ●
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) 0
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. მსგავს შემთხვევებში პირველი ხელმძღვანელი, აუცილებლად, უნდა იყოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ხოლო მეორე - დარგის წამყვანი სპეციალისტი, რომელიც შეიძლება არ იყოს დასაქმებული უნივერსიტეტში. დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევა ხდება დოქტორანტის მიერ შერჩეული თემატიკის გათვალისწინებით და საკვლევი საკითხის წარმატებულად განხორციელების აუცილებლობის საფუძველზე. თუმცა საწყის ეტაპზე დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს აქვს ე.წ. სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია. აღსანიშნავია, რომ სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია დოქტორანტურის ძველი სტანდარტით გათვალისწინებული არ ყოფილა. თუმცა დღევანდელი სტანდარტის 2019 წელს განახლებული ვერსია ნაწილობრივ ამ პრობლემას წყვეტს და განსაზღვრავს დოქტორანტის სტატუსის მქონე სტუდენტისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცების ვადებს (დამატებით იხ. პუნქტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით). სომხური ფილოლოგიის მოდულის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი მაღალი კვალიფიკაციის მქონეა. ამასთანავე, სადოქტორო დონის თავისებურების გათვალისწინებით, მათ არ შეუძლიათ თავისი კვლევითი თემატიკის მიღმა სომხური ფილოლოგიის მიმართულებით არსებული ნებისმიერი კვლევების ხელმძღვანელობა. მსგავს შემთხვევებში, სამეცნიერო ხელმძღვანელების მოწვევა ხდება დოქტორანტის კვლევითი სპეციფიკის თავისებურებათა გათვალისწინებით და უნივერსიტეტის შიდა-განაწესის მიხედვით - ასეთი მიდგომა კი, ფართოდ აღიარებული პრაქტიკაა მსოფლიო მაშტაბით. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და, ასევე, უნივერსიტეტის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტებთან,

სომხური ფილოლოგიის პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან და, უშუალოდ, მომჩივანთან გასაუბრების პროცესში გამოვლინდა შემდეგი გარემოებანი დოქტორანტისა და მისი ხელმძღვანელების ურთიერთობის თვალსაზრისით:

● ყოფილი დოქტორანტის განცხადებით: *სადისერტაციო ნაშრომის "ნერსეს შნორჰალის აღდგომის დღესასწაულისადგმი მიძღვნილი ოთხთავის მიხედვით შექმნილი ტაღები" დამტკიცების შემდეგ, ყოფილ დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელი დაენიშნა დოქტორანტურის შესახებ არსებული დებულების დარღვევით, რადგან მას არ ჰქონდა დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.*

დოქტორანტისთვის ხელმძღვანელ(ებ)ის შერჩევის საკითხი წყდებოდა სომხური პროგრამის ხელმძღვანელისა და ყოფილი დოქტორანტის თანამშრომლობით პროგრამაზე ჩარიცხვამდე თემის თავისებურების გათვალისწინებით, რის შედეგადაც, დოქტორანტურაში მიღების წესის თანახმად, რომელიც რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, დოქტორანტმა წარადგინა სავარაუდო ხელმძღვანელ(ებ)ის რეკომენდაცია-თანხმობები, მათ შორის, სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი - იყო ქართული ჰიმნოგრაფიის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ხოლო სავარაუდო სამეცნიერო თანახელმძღვანელი - ძველი სომხურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. აღნიშნული ორი ხელმძღვანელი სარგებლობდა სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით. უნივერსიტეტის ძველი სტანდარტი არ საზღვრავდა სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცების ვადებს და, შესაბამისად, სავარაუდო ხელმძღვანელის სტატუსიც აღწერილი არ არის.

● ყოფილი დოქტორანტის განცხადებით: *„მისი სამეცნიერო და პროგრამის ხელმძღვანელები არ ასრულებდნენ შესაბამის, ნაკისრ ვალდებულებებს, არ უწევდნენ სათანადო ხელმძღვანელობას, რადგან მათ არ გააჩნდათ აუცილებელი ანგარიში ჩატარებული სამუშაოს შესახებ“.*

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა, რომ 2014 წელს 12 ივლისს ფაკულტეტს წარედგინა „ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ (პროფესორის ასისტენტობა)“, რომელსაც ხელს აწერენ ყოფილი დოქტორანტი, მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი და ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი. ყოფილი დოქტორანტის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ჰიმნოგრაფიის მიმართულებით სამეცნიერო ხელმძღვანელს ყოფილი დოქტორანტი ხვდებოდა იშვიათად, ხოლო ძველი სომხური ენის მიმართულებით სამეცნიერო ხელმძღვანელს დოქტორანტი შეხვდა მხოლოდ ერთხელ პროგრამაზე ჩარიცხვამდე რეკომენდაცია-თანხმობაზე ხელის მოსაწერად; შეხვედრების სიმწირე კი, ბუნებრივია, ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენდა ვალდებულებების შესრულება/არ შესრულების საკითხზე.

● ყოფილი დოქტორანტის განცხადებით: *„სასწავლო კურსი პროფესორის ასისტენტობა იყო ჩატარებული ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დარღვევით და არ შეესაბამებოდა პროგრამის მიერ გათვალისწინებულ პირობებს“*, რაც გამოიხატებოდა

პროფესორის ასისტენტობის უწყისების არასწორი შევსებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე და გასაუბრებით დადგინდა, რომ ყოფილ დოქტორანტს უნივერსიტეტში არსებული განაწესის მიხედვით თავისუფლად შეეძლო პროფესორის ასისტენტობის განხორციელება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის სომხური ფილოლოგიის მოდულის აკადემიური პერსონალისთვის და ჰიმნოგრაფიის მიმართულებით სამეცნიერო ხელმძღვანელმა არა-ერთხელ ურჩია ყოფილ დოქტორანტს პროფესორის ასისტენტობის განხორციელება სომხური ფილოლოგიის მიმართულებით, რაზეც მიიღო უარი. ამის შედეგად, პროფესორის ასისტენტობა შემოიფარგლა სტუდენტების ნაწერების შემოწმებით, საგამოცდო ტესტების მომზადებითა და სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევით ქართულ-სომხური ურთიერთობების შესახებ, რაც საბოლოო ჯამში არ იყო საკმარისი პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ასაღებად.

- ყოფილი დოქტორანტის განცხადებით: *„...უნივერსიტეტს, დოქტორანტს, სადოქტორო პროგრამისა და სამეცნიერო ხელმძღვანელებს შორის უნდა დადებულიყო ხელშეკრულება შესაბამისი ვალდებულებებით, რომელიც მისი ჩარიცხვის შემდეგ, არ იყო დადებული“* აქედან გამომდინარე, კი, *„უნვიერსიტეტს მის წინაშე არ ჰქონდა შესრულებული მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები, მის მიერ გადახდილი ოთხი სემესტრის განმავლობაში სწავლის საფასურის სანაცვლოდ“.*

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ 2013 წელს 17 სექტემბერს ყოფილ დოქტორანტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის, რომელიც წარმოდგენილი იყო მისი რექტორის ვლადიმერ პაპავას სახით დაიდო ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებდა თსუ-სა და დოქტორანტს შორის თანამშრომლობის პირობებს და, მათ შორის, დოქტორანტის მიერ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, დოქტორანტის მინიმალური სტანდარტისა და თსუ-ს იმ სამართლებრივი აქტების დაცვას, რომლებიც ეხებოდა სასწავლო პროცესსა და სწავლის საფასურთან დაკავშირებულ საკითხებს და რომლებიც ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ. 2009 წლის 16 ივლისის №257 დადგენილებით დამტკიცებულ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში არის პუნქტი, რომ: *„უნივერსიტეტი, დოქტორანტი, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ჩარიცხვის შემდეგ ხელს აწერენ ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს ყველა მხარის ვალდებულებებსა და უფლებებს. ხელშეკრულების ნაწილია დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა (იხ. დანართი 2. ფორმა N1, ფორმა N 2)“.* აღნიშნული დებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა აკადემიური საბჭოს 2016 წლის 5 დეკემბერს №143/2016 დადგენილებით და დღევანდელ დებულებაში, რომელიც დამტკიცდა 2018 წლის 27 დეკემბერს დადგენილება №244/2018 ჩანაცვლებულია შემდეგით: *„დოქტორანტურაში ჩარიცხვის შემდეგ დოქტორანტი ხელს აწერს ხელშეკრულებას“.* იმ პერიოდის დებულებით აღნიშნული ხელშეკრულების განუყრელ ნაწილს დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო (ფორმა #1) და კვლევითი (ფორმა #2) გეგმა წარმოადგენდა, რომლებსაც დოქტორანტი *„თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სადოქტორო*

პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით თავად ადგენს“, შედგენის შემდეგ კი ფორმებს ხელს აწერენ დოქტორანტი, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. შევსებულ და ხელმოწერილ ფორმებს დოქტორანტი თვითონ წარუდგენდა *„ფაკულტეტის ადმინისტრაციას, კერძოდ, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს“*. აღნიშნული ფორმები შევსებული სახით არც ფაკულტეტზე არ მოიძებნა და არც ყოფილ დოქტორანტს ხელთ არ ჰქონდა; როგორც ჰიმნოგრაფიის მიმართულების ყოფილმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა აღნიშნა დოქტორანტს მისთვის შევსებული ფორმები არ მიუწოდებია, ხოლო ძველი სომხური მიმართულების ხელმძღვანელს - არც ამ და არც სხვა საკითხებთან დაკავშირებით ყოფილი დოქტორანტი არ ხვდებოდა.

● ყოფილი დოქტორანტის განცხადებით: *2015 წლის მაისში მისმა ერთ-ერთმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა ხელმძღვანელობაზე უარი განაცხადა და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარადგინა დაუსაბუთებელი განცხადება, რის შედეგად დაირღვა დოქტორანტურის შესახებ არსებული დებულების მე-4 თავის მე-9 ქვეპუნქტი.*

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ იმ მომენტისათვის ყოფილი დოქტორანტის კვლევითი თემატიკა შემოიფარგლა მხოლოდ სომხური სასულიერო პოეზიის ქართულად თარგმნით, ამიტომაც ჰიმნოგრაფიის დარგში მომუშავე ხელმძღვანელმა ოფიციალურად მიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და უარი განაცხადა ხელმძღვანელობაზე (განცხადება #2077, 2015 წლის 25 მაისი), რადგანაც მისი კვლევითი კომპეტენცია იმ მომენტისათვის უკვე საგრძნობლად სცილდებოდა სადოქტორო დისერტაციის პირველად ჩანაფიქრს და დოქტორანტის მისდამი დამოკიდებულება სცილდებოდა ეთიკურ ნორმებს.

● ყოფილი დოქტორანტის განცხადებით: *„ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ვალდებულება იყო ახალი სამეცნიერო ხელმძღვანელის დაუყოვნებლივი დამტკიცება, რადგან ჩემი, როგორც დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი გეგმა სემესტრის ბოლომდე უნდა ყოფილიყო შესრულებული, მაგრამ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ თავის ვალდებულებების შესრულებაზე სიტყვიერი უარი განაცხადა. უარის მიზეზი: შესაბამისი სპეციალისტის არქონა.“*

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ შექმნილ ვითარებას განიხილავდნენ საბჭოზე სომხური ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელთან, რომლის მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ სომხური ფილოლოგიის პროგრამაში ჩართული პროფესორები არ მუშაობენ ჰიმნოგრაფიასა და პოეტიკის განხრით და *„არმენოლოგიის პროგრამას ამჟამად არ შეუძლია გამოუყოს მას ახალი ხელმძღვანელი, რადგანაც მას არ ჰყავს სათანადო დარგის სხვა სპეციალისტი“* (იხ. 2015 წლის 26 მაისის მოხსენებითი ბარათი). 2015 წლის 29 მაისის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით ფაკულტეტზე შეიქმნა სპეციალური ტექნიკური კომისია, რომელიც შეისწავლა რა საქმის ვითარება აღნიშნა, რომ *„სადავო საკითხი არის სადოქტორო ნაშრომის კვლევითი პრობლემატიკის დაზუსტება და შესაბამისი სამეცნიერო ხელმძღვანელის საკითხი, რომელიც შესაძლოა, მოლაპარაკების საგანი გახდეს“*, თუმცა,

ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სასწავლო კომპონენტის პრობლემის მოგვარება, რადგანაც *„წინააღმდეგ შემთხვევაში დოქტორანტი მოქმედი რეგულაციებით ვერ გააგრძელებს სწავლას ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სომხური ფილოლოგიის ქვედარგზე“.* ფაკულტეტის წარმომადგენლის განცხადებით აღნიშნული დოკუმენტის მიღებაზე ყოფილმა დოქტორანტმა 2015 წლის 3 ივნისს უარი განაცხადა და ამიტომაც აღნიშნული დოკუმენტი მას 2015 წლის 4 ივნისს ელექტრონული ფოსტის საშუალებით გადაეგზავნა.

- ყოფილი დოქტორანტის განცხადებით: *„ამის შედეგად დოქტორანტის სემესტრული სასწავლო და კვლევითი გეგმა არ იყო შესრულებული და 2015 წლის სექტემბერში გარიცხეს არა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით და ბრძანებით, არამედ რექტორის ბრძანების საფუძველზე, რომელიც ემყარებოდა უნივერსიტეტში არსებული სწავლის პროცესების მართვის შესახებ ზოგად დებულებას, და ასევე არღვევდა დოქტორანტურის შესახებ არსებული დებულების მე-9 თავს“.*

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი როგორც ძველი, ასევე ახალი წესის მიხედვით, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს *„ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერ მიღება“.* ყოფილ დოქტორანტს სამჯერ ჰქონდა არჩეული სავალდებულო საგანი - დოქტორანტის სემინარი, რომელშიც კრედიტი ვერ მიიღო. გასაუბრებისას გამოთხოვილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ 2015 წელს ყოფილი დოქტორანტი აპირებდა დოქტორანტის სემინარის ჩაბარებას და მას ჰქონდა მზად 18-გვერდიანი ნაშრომი „ქართული ჰიმნოგრაფია და ჰიმნოლოგია - რამდენიმე ასპექტი საკითხის ისტორიიდან ნესტან სულავას წიგნის „ქართული ჰიმნოგრაფიის“ მიხედვით“. ასევე, წარმოდგენილი ნაშრომის სატიტულო გვერდზე მითითებული იყო ნაშრომის რეცენზენტიც. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ საგნის ჩაბარებას იმ მომენტისათვის არაფერი აბრკოლებდა (ყოფილ დოქტორანტს იმ მომენტისათვის ჰყავდა მეორე სამეცნიერო ხელმძღვანელი, ხოლო იმ მომენტისათვის ყოფილი პირველი სამეცნიერო ხელმძღვანელი ფაკულტეტის ტექნიკური კომისიის განცხადებით: *„მზად იყო, უკვე არა სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით, თუ ამისი საჭიროება დადგა, მიეღო მონაწილეობა რეცენზირება-შეფასების პროცესში დოქტორანტის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით და ის თავს არ არიდებდა მისი, როგორც ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრის მოვალეობებს“*), ყოფილ დოქტორანტს საგანი ჩაუბარებელი დარჩა. აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დამატებით აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში დამკვიდრებული პრაქტიკით სამეცნიერო ხელმძღვანელი, როგორც წესი, ესწრება სემინარს, მაგრამ რეცენზირება-შეფასების პროცესში მონაწილეობას არ იღებს. თუმცა სადოქტორო სემინარის დაცვის პროცედურული მსვლელობა ისევე, როგორც რეცენზენტის დანიშვნის პრინციპი არ არის დაწვრილებით გაწერილი უნივერსიტეტის სტანდარტში, რაც შეიძლება გამხდარიყო გაუგებრობის მიზეზი (დამატებით იხ. პუნქტები 2.3 და 2.6).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტები თანდართული დოკუმენტაციით (2011 წლის 16 მარტის, დადგენილება №25/2011; 2018 წლის 27 დეკემბრის, დადგენილება

№245/2018); o ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებები შესაბამისი დადგენილებებით (2009 წლის 16 ივლისის დადგენილება №257, 2016 წლის 5 დეკემბერს დადგენილება №143/2016, 2018 წლის 27 დეკემბერს დადგენილება №244/2018); o საგანმანათლებლო პროგრამა; o აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები; o გასაუბრება უნივერსიტეტის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტებთან, ყოფილი დოქტორანტის ხელმძღვანელებთან, სომხური ფილოლოგიის პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტის სტატუსის მქონე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და მომჩივანთან; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● სასურველია, რომ დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტში დამატებით განიმარტოს „სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის“ ცნება და ფუნქციები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მონიტორინგის განხორციელების გამომწვევ მიზეზებს შორის სახელდებოდა, ასევე, ის რომ სომხური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა უარი უთხრა დოქტორანტისთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის გამოყოფის თაობაზე. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ახსნა-განმარტებითი ბარათში აღნიშნულია, რომ „არმენოლოგიის პროგრამას ამჟამად არ შეუძლია გამოუყოს მას ახალი ხელმძღვანელი, რადგანაც მას არ ჰყავს სათანადო დარგის სხვა სპეციალისტი“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ: ● ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სომხური ფილოლოგიის მოდულის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს. პერსონალი აქტიურად და წარმატებულად მონაწილეობას იღებს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, აქვეყნებს მაღალი დონის პუბლიკაციებს. თუმცა უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული და აკადემიური მიღწევების ფორმების (CV) დათვალიერებით ვლინდება, რომ 2017 წლიდან მოყოლებული ინფორმაცია საჭიროებს განახლებას; ● პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია (მონიტორინგის გამომწვევი მიზეზის შემთხვევაშიც, დოქტორანტისათვის,

რომელიც სომხურ ჰიმნოგრაფიაზე აპირებდა მუშაობას, სადოქტორო პროგრამის დებულების შესაბამისად ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე მოიძებნა სამეცნიერო ხელმძღვანელი - ჰიმნოგრაფიის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ხოლო ფაკულტეტის გარეთ, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში - სამეცნიერო თანახელმძღვანელი, ძველი სომხურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. თუმცა მას შემდეგ, რაც დოქტორანტის კვლევითი თემატიკა შემოიფარგლა მხოლოდ სომხური სასულიერო პოეზიის ქართულად თარგმნით, ჰიმნოგრაფიის დარგში მომუშავე ხელმძღვანელმა უარი განაცხადა ხელმძღვანელობაზე, რადგანაც მისი კვლევითი კომპეტენცია იმ მომენტისათვის უკვე საგრძნობლად სცილდებოდა სადოქტორო დისერტაციის პირველად ჩანაფიქრს); ● აკადემიური განათლების მესამე საფეხურის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უნდა განისაზღვრებოდეს კონკრეტული კვლევითი ასპექტის თავისებურების გათვალისწინებით (მაგ., შეუძლებელია სომხური ნარატიული წყაროებისა და ეპიგრაფიკის სპეციალისტის კვლევითი პროფილის მქონე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი ხელმძღვანელობდეს ჰიმნოგრაფიით დაინტერესებულ დოქტორანტს). აღნიშნულ გარემოებას ითვალისწინებდნენ როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალიც და, ამიტომაც, მსგავს შემთხვევებში ხდებოდა მოწვეული პერსონალის დასაქმება, რაც უზრუნველყოფდა პროგრამის მდგრადობას; ● სომხური ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება; ● როგორც პროგრამის კურსდამთავრებულთან და დოქტორანტის სტატუსის მქონე სტუდენტთან გასაუბრებისას დადგინდა, მათ არასოდეს უგრძვნიათ შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ნაკლებობა. მომჩივანთან გასაუბრებამ ნათელი გახადა, რომ ყოფილი დოქტორანტის წარმოდგენით, არმენოლოგიის მოდულის აკადემიურ პერსონალს შეუძლია სომხურთან დაკავშირებული ნებისმიერი თემატიკის სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობა, რასაც, მომჩივანის აზრით, მათ მიერ სომხური ენის ცოდნა განაპირობებს. მსგავსი წარმოდგენა, ბუნებრივია, შორსაა სამეცნიერო წრეებში არსებული რეალური სიტუაციისაგან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o აკადემიური პერსონალის პროფესიული და აკადემიური მიღწევების ფორმები (CV); o გასაუბრებები სომხური ფილოლოგიის პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტის სტატუსის მქონე სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● სასურველია, რომ მოხდეს აკადემიური პერსონალის პროფესიული და აკადემიური მიღწევების ფორმების (CV) განახლება 2017 წლის შემდეგ შესრულებული სამეცნიერო

ნაშრომების წარმოდგენის მიზნით; ● სასურველია, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მოხდეს პროფესორთა პროფილების განახლება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ●
მტკიცებულებები/ინდიკატორები o
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები o
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი 0
მტკიცებულებები/ინდიკატორები 0
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): 0
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o
მტკიცებულებები/ინდიკატორები o
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

o პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმს. ისინი განიხილავენ და ასრულებენ აკრედიტაციის (ეროვნული და/ან საერთაშორისო) დროს მიღებულ რეკომენდაციებს, რაც დგინდება როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციით. თუმცა 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ზოგიერთი რეკომენდაცია დღემდე გათვალისწინებული არ არის, რაც აიხსნება იმით, რომ უახლოეს პერიოდში მოხდება პროგრამის განახლება ხელახალ აკრედიტაციაზე წარდგენის მიზნით და, შესაბამისად, პროგრამის განახლებულ ვერსიაში ყველა რეკომენდაცია იქნება გათვალისწინებული. ამ ეტაპზე მდგომარეობა შემდეგია:

- რეკომენდაცია #1: *სასურველია პროგრამის სასწავლო კომპონენტთა სილაბუსებში უფრო ნათლად და გარკვევით გაიწეროს ყოველი კურსის/მოდულის დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციები.*

პროგრამის დღევანდელი მდგომარეობით კურსის/მოდულის დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციები ზოგიერთი კურსის შემთხვევაში (იხ. *სწავლების მეთოდები, კურიკულუმის შემუშავების პრინციპი, ქართული წვლილი შუა საუკუნეების ევროპულ ცივილიზაციაში* და, *კვლევის მენეჯმენტი*) წარმოდგენილია ცალკე ბლოკში, ხოლო დანარჩენი კურსების შემთხვევაში - სწავლის შედეგების ბლოკში.

- რეკომენდაცია #2: *სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას სასურველია თან ახლდეს კომპეტენციების რუკა.*

პროგრამის დღევანდელი მდგომარეობით ეს რეკომენდაცია გათვალისწინებული არ არის.

- რეკომენდაცია #3: *სასურველია სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის გამრავალფეროვნება და უახლესი პუბლიკაციებით გამდიდრება (განსაკუთრებით კი, ბოლოდროინდელი სტატიებით, კვლევებით).*

პროგრამის დღევანდელი მდგომარეობით სილაბუსების უმეტესობა საჭიროებს მითითებული ლიტერატურის განახლებასა და გამდიდრებას 2011 წლის შემდეგ გამოცემული ლიტერატურით.

- რეკომენდაცია #4: *კომპარატივისტიკის ხასიათის სასწავლო კურსების სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურაში მხოლოდ რუსულენოვანი ლიტერატურის მითითება გარკვეული უკმარისობის განცდას ტოვებს და სავარაუდოდ საგნის სრულყოფილად*

შესწავლის საშუალებას არ იძლევა.

პროგრამის დღევანდელი მდგომარეობით ეს რეკომენდაცია გათვალისწინებულია, თუმცა მაშინაც საბჭოს სხდომის დროს აღენიშნა, რომ ეს ცდომილება ტექნიკური ხასიათისაა.

● რეკომენდაცია #5: *სასწავლო გეგმების შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს სასწავლო კურსების კოდიფიცირება.*

პროგრამის დღევანდელი მდგომარეობით ზოგიერთ სილაბუსში არის ჩანაწერი, რომ კოდის მინიჭება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი ერთიანი წესის შესაბამისად.

● რეკომენდაცია #6: *სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსის „სამეცნიერო კვლევის მეთოდების“ ჩართვა, ხელს შეუწყობს/უზრუნველყოფს უფრო პროდუქტიული დისერტაციის შექმნას და მკვლევარისთვის სათანადო კომპეტენციების გამომუშავებას.*

o დღევანდელი მდგომარეობით კურსი “ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ (5 კრედიტი) გათვალისწინებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით, თუმცა პროგრამის კურიკულუმში ჯერ ასახული არ არის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტები თანდართული დოკუმენტაციით (2011 წლის 16 მარტის, დადგენილება №25/2011; 2018 წლის 27 დეკემბრის, დადგენილება №245/2018);
o 2012 წლის 7 მაისის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა #01-1262 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაზე და 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ოქმი #7;
o საგანმანათლებლო პროგრამა;
o ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებანი;
o გასაუბრება ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის დეკანთან, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის ხელახალი აკრედიტაციისათვის მოხდეს წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) o
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o
მტკიცებულებები/ინდიკატორები o
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფილოლოგია (სომხური ფილოლოგიის ნაწილი)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შეფასდა მხოლოდ 4.1 კომპნენტი	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შეფასდა მხოლოდ 5.2 კომპონენტი	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
ირინა ლობჟანიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი
ირმა ყარაულაშვილი